	gPower	შპს „ჯიფაუერი“ LLC “gPower”
გამოცემის თარიღი: Date of Issue: 24.05.2024	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 24.05.2024	მოქმედების ვადა: Valid till:
დოკუმენტის ტიპი: Type of Document: ინსტრუქცია Instruction	რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.: gP INS2024001	

სათაური:	შპს „ჯიფაუერის“ სამუშაო სივრცეში სხვა პირების დაშვების შესახებ ინსტრუქცია
Title:	Instruction on the admission of other persons to the working space of "gPower" LLC

დამტკიცებულია: Approved by:		ხელმოწერა: Signature:
ხელმძღვანელის თანამდებობა: Position of Manager:	გენერალური დირექტორი General Director	
სახელი, გვარი: Name:	მიხეილ ბოცვაძე Mikheil Botsvadze	

1. შესავალი დებულებები:

1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს შპს „ჯიფაუერის“ (შემდგომში კომპანია) სამუშაო სივრცეში სხვა პირების დაშვების პროცედურებისა და ვალდებულება-პასუხსმგებლობის განსაზღვრა. სხვა პირების მიერ კომპანიის წესდების, შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა.

1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

ინსტრუქცია სავალდებულოა კომპანიის ყველა იმ თანამშრომლისთვის ვინც მონაწილეობას იღებს წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრულ პროცესებში და კომპანიის სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირებისათვის.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება

2.1. კომპანია – შპს „ჯიფაუერი“;

2.2. სხვა პირი – პირი, რომელიც დამსაქმებლის ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, ვიზიტორი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა;

2.3. პასუხისმგებელი პირი - სადგურის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების მეთვალყურეობას, კომპანიის შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობას, სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების გაცნობას და შესაბამისი ინსტრუქტაჟების ჩატარებას.

2.4. საფრთხის შემცველი ლოკაციები - ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობები, დენგამტარი ნაწილები, მბრუნავი მექანიზმები და სხვა.

3. კომპანიის სამუშაო სივრცეში სხვა პირების დაშვების შესახებ ინსტრუქცია

3.1. ზოგადი დებულებები

3.1.1. საფრთხის შემცველი ლოკაციები სათანადოდ უნდა იყოს დაკეტილი/იზოლირებული და გამაფრთხილებელი ნიშნებით ნიშანდებული, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვა პირების უნებართვო წვდომა;

3.1.2. დაუშვებელია კომპანიის ტერიტორიაზე უნებართვოდ შესვლა, გადაადგილება ან/და სამუშაოების წარმოება;

3.1.3. საფრთხისშემცველ ზონებში შესვლა უნდა იყოს ავტორიზებული და განხორციელდეს მონიტორინგი პასუხისმგებელი პირის მიერ;

3.1.4. კომპანიის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო სივრცეში, საფრთხის შემცველ ზონებში სხვა პირების გადაადგილებისას ან/და სამუშაოების წარმოებისთვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (დამცავი ჩაფხუტი და საჭიროების შემთხვევაში სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი და სხვა);

3.1.5. კომპანიის ტერიტორიის შესასვლელთან განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც დატანილია ამკრძალავი და მაფრთხილებელი ნიშნები. დაფა სხვა პირებისთვის ინფორმაციას იძლევა ობიექტზე არსებულ საფრთხეებთან დაკავშირებით ;

3.1.6. დაცვის სამსახურის მიერ უზრუნველყოფს კომპანიის ტერიტორიაზე გარეშე პირის/პირების დაშვება/არ დაშვების პროცედურებს და უსაფრთხოებას;

3.2. პასუხისმგებელი პირის მოვალეობები

3.2.1 პასუხიმგებელი პირის მიერ უნდა დადგინდეს სხვა პირების ვიზიტის მიზანი. უნდა გაარკვიოს მათი საქმიანობიდან გამომიდნარე შესაძლო რისკები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს კომპანიის სამუშაო სივრცეში სამუშაოების წარმოებას, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას, დანადგარების ან ნივთიერებების ადგილზე მიტანას ან პირად საჭიროებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

3.2.2 პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სხვა პირებს:

- კომპანიის სამუშაო სივრცეში დაშვებამდე ჩაუტაროს შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი;
- გააცნოს საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, საგანგებო სიტუაციებში მოქმედების პროცედურები და სახანძრო უსაფრთოების ზოგადი მოთხოვნები;
- უზრუნველყოს სხვა პირების მიერ ინსტრუტაჟების მიღების შესაბამის ჟურნალში დადასტურება;
- განსაზღვროს/დაადგინოს სხვა პირის საქმიანობიდან გამომდინარე საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- სხვა პირები უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში არსებული რისკების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი ჩაფხუტი და საჭიროების შემთხვევაში სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი და სხვა);
- გააცნოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მოხმარების წესები;
- სხვა პირების მიერ საფრთხის შემცველ ზონებში გადაადგილების ან/და სამუშაოთა წარმოების დროს გაუწიოს მუდმივი მეთვალყურეობა ან უზრუნველყოს შესაბამისი პირი.

3.3. სხვა პირების მოვალეობები

3.3.1. სამუშაო ადგილზე მისვლამდე, კომპანიას/პასუხიმგებელ პირს წინასწარ უნდა აცნობოს ვიზიტის მიზეზი და ხანგრძლოვობა;

3.3.2. უნდა აცნობოს პასუხისმგებელ პირს, მათი საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები;

3.3.3. კომპანიის სამუშაო სივრცეში ყოფნისას, საქმიანობისას და საფრთხის შემცველ ლოკაციებთან გადაადგილებისას სხვა პირი ვალდებულია:

- მოისმინოს პასუხისმგებელი პირის მიერ ჩატარებული შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები;
- გაეცნოს საევაკუაციო გეგმას, ევაკუაციის პროცედურებს, საგანგებო სიტუაციებში მოქმედების პროცედურებს და სახანძრო უსაფრთოების ზოგად მოთხოვნებს;
- შესაბამის ჟურნალში ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ ჩაუტარდა ზემოთ აღნიშნული ინსტრუქტაჟები;
- იმოქმედოს ინსტრუქტაჟების შესაბამისად;
- დაემორჩილოს პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემულ ცალკეულ მითითებებს;

- ნებისმიერი პრობლემა, რომელიც შეექმნება სამუშაო სივრცეში ყოფნისას, უნდა აცნობოს პასუხისმგებელ პირს, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება;
- ვალდებულია საფრთხის შემცველ ზონებში გადაადგილებისას, გამოიყენოს მასზე გამოყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (დამცავი ჩაფხუტი და საჭიროების შემთხვევაში სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი და სხვა);
- სამუშაო სივრცის დატოვებისას აცნობოს პასუხიმგებელ პირს აღნიშნულის შესახებ.